დანართი №2

შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები: ქეთევან ღვანიძე

თბილისი, 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 05337880

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის ბრძანების MES 1 23 0000159167 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ***„აღმზრდელი“***დამატებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2023 წლის 27 თებერვალს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი ქეთევან ღვანიძე.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. შესწავლილი დოკუმენტაციისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შედგა დღის წესრიგი, რომლის საფუძველზე შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი.

თავდაპირველი შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, შეფასდა როგორც შეუსაბამო, 2.4.1. (6) ინდიკატორის ნაწილობრივი შესაბამისობიდან გამომდინარე, რაც განპირობა დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 5.2.1.(1) და 5.2.1.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შეუსაბამობამ, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცისთვის (მე-5 სართული) არ იყო წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ფართის ექსპერტიზის განხორციელების შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდში. პსდ-მ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეფასების აქტი (№44 14.03.2023) და მის საფუძველზე შემუშავებული შესაბამისობის გეგმა (შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანება №00002776, 27.03.2023). ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრულია 27.05.2023 წ. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, იდენტიფიცირებული ხარვეზი და ინდიკატორის შეფასება კლასიფიცირდა, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა, პსდ-ს 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან - „შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წარმოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები წინა ვიზიტის დასკვნაში არ არის დაფიქსირებული.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.4.1. (6) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ უზრუნველყოს, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებისა და შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული მითითებების შესაბამისად, უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნა, შესაბამისობის გეგმით დადგენილი ვადების დაცვით.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

სასურველია:

2.1.1.(8) - საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა და შუალედური შეფასების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია. ასევე კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11) და დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

სასურველია:

2.2.1. (1) - ხელშეკრულებას თან დაერთოს მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის კონკრეტული დაწესებულებების ნუსხა, სადაც მოიაზრება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.

2.2.1.(3) - კორექტირდეს, პსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტებით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო გამოცდილების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა.

2.2.1.(7) - შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირება-პროგნოზირებას

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1.(3) - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მიდგომებში, სწავლების მეთოდებში აისახოს წავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ტექნოლოგიები.

2.4.1.(5) - პსდ-მ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.

2.4.2 (2) - ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პსდ-მ განსაზღვროს შესაფასებელი ინსტრუმენტების/ნამუშევრების კონკრეტული რაოდენობა/წილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	***აღმზრდელი***
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 26 იანვრის ბრძანება №00000573
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	26 მაისის ქუჩა N 80 ქ. მარნეული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“, პსდ-ის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“, რომლის თანახმად პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ.), რასაც კოლეჯის დირექტორი განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ და პროექტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხილვის შემდეგ წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად. პროგრამის შემუშავების საფუძველი შესაძლოა გახდეს შრომის ბაზრის მოთხოვნა, საკანონმდებლო ცვლილებები და ასევე, კოლეჯის მიერ განხორციელებული კვლევა. პროგრამის დამატებისას, კოლეჯის ადმინისტრაცია, ასევე ითვალისწინებს პსდ-ს მისიასა და სამოქმედო გეგმებს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ადაპტირება, დანერგვა, დამატების შესახებ რეგულაციები გაწერილი აქვს ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 8).

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა ადრეული სკოლამდელი აღზრდის სექტორში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებსა და ამ მიმართულებით საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებს. ამასთან კოლეჯი თანამშრომლობს და ჩართული ჰყავდა პროგრამის შემუშავება-ადაპტირების პროცესში ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებები.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დადგენილი პროცედურის დაცვით და არ მოდის წინააღმდეგობაში პსდ-ის გაცხადებულ მისიასთან,

განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას

საგანმანათლებლო პროგრამის სპექტრის გაფართოება განსაზღვრულია ასევე პსდ-ს 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტით - *სტრატეგიული მიზანი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რომელიც ითვალისწინებს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შრომის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორის მოთხოვნათა გათვალისწინებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა-განხორციელებას.</u>

ვიზიტის დროს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრება განხორციელდა პსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, განმახორციელებელ პირებთან, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პსდ-ის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლი 10). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (02117-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის დროსაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, აღჭურვილობას, საჭირო სასწავლო გარემოს, პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების რაოდენობასა და რესურსს და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ცვლილების/დამტკიცების ადმინისტრირების საკითხები („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 30; „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი „ მუხლი 3).

საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პსდ-ს განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 80 პროფესიული სტუდენტით. პსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს განსაზღვრული ზღვრული ოდენობა ორი წლის პერიოდში, თითოეულ მიღებაზე 40-40 პროფესიული სტუდენტი 2 ჯგუფად.

შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის დროსაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკასა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პსდ-ის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა მიერ მოდულების მიხედვით შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ლიტერატურა, როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და დადგინდა, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მარნეულისა და ბოლნისი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში მყოფ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებებთან. მემორანდუმის თანახმად სკოლამდელი აღზრდის რეგიონული გაერთიანებები მზადყოფნას გამოთქვამენ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯის სტუდენტებისთვის გამოყონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა.

ვიზიტის დროს გასაუბრება განხორციელდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ხელმძღვანელთან. რომელმაც მზაობა გამოთქვა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში საკმარისი რაოდენობის დაწესებულებებია, აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფია დაკომპლექტებული. მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებთან, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებას/მემორანდუმს არ ახლავს ბაგა-ბაღების ნუსხა კონკრეტული ლოკაციის მითითებით.

ექსპერტთა რეკომენდაციით, იქედან გამომდინარე, რომ პროგრამა არ ხორციელდება მხოლოდ პსდ-ში, იმიტირებულ გარემოში, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, კოოპერაციული სწავლების განმახორციელებელი სუბიექტისთვის დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ფაქტობრივი გარემოებების, პსდ-ს წარმოამდგენლებთან და პარტნიორთან გასაუბრების საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, პსდ-ის დირექტორის მიერ (ბრძანება №00000573, 26.01.2023). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების დებულებით (პ.7.5.18). აღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „აღმზრდელი“, შესაბამისია პროგრამის შინაარსის, პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პარტნიორები. მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტის“ შინაარსი და მიზნები. პსდ-ის მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია, თუმცა ექსპერტთა მიერ გაიცა გარკვეული რეკომენდაციები ტექნიკურ ხარვეზებთან და ჩანაწერების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანგრძლივობა – 20 თვე/80 სასწავლო კვირა), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 25 თვე/101 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შესაძლო აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული არაა პროგრამის განხორციელების ფორმა. პროგრამის განხორციელებისა და გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული წესით. ექსპერტთა რეკომენდაციით, დაინტერესებული პირებისთვის სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, პროგრამაში სასურველია აღინიშნოს განხორციელების მიდგომა და განსაზღვრული იყოს მოდულების/სწავლის შედეგების ნუსხა, რომელთა განხორციელებაც მოხდება პარტნიორი დაწესებულებების თანამონაწილეობით ან ინფორმაციას აისახოს კონკრეტული მოდულების განხორციელების შესახებ ჩანაწერებში.

პსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერის (პ. 11) კორექტირება და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან (მუხლები: 16 და 21[1]), კერძოდ დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს,

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- *სასურველია:*
- *პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *<u>კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11). დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მისია
2. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები
3. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დებულება (ბრძანება №01/15 18/03.2021)
4. ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიური კოორდინაციის დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის შესახებ (რეგისტრაციის ნომრით 230, 16.01. 2023)
5. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის შესახებ (რეგისტრაციის ნომრით 7, 09.01. 2023)
6. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანება №00000573 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ინფორმაციის ტექნოლოგია", "აღმზრდელი" და "საფინანსო სერვისები" დამტკიცების შესახებ“(26.01.2023 წ.)
7. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება №01/29, 06.07.2022)
8. „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“ (ბრძანება №01/35, 01.07.2022)
9. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პერსონალთან, ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 80-ს. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება კოლეჯს დაგეგმილი აქვს ქ. მარნეულში, მისამართზე 26 მაისის ქუჩა #80, სადაც კოლეჯის სარგებლობაშია შპს „ნოვამედის“ მფლობელობაში არსებული მე-5 სართულის ფართი 854.61 კვ.მ. (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №83.02.18.606.01.509. იჯარის ხელშეკრულების დამოწმების თარიღი 20.01.2023/საბოლოო თარიღი 01.01.2033). ფართი მოწყობილია სასწავლო პროცესისთვის. მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება პსდ-ს მიერ წარმოდგენილი ა და ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია:

- ორი A სასწავლო გარემო (68, 82 ვ.მ.) თეორიული კომპონენტისთვის, სადაც მოწყობილია 40 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- B სასწავლო გარემო, სადაც მოწყობილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, პერსონალური კომპიუტერი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებით.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა. კოლეჯის მფლობელობაშია 2 B გარემო 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, თუმცა აღნიშნულ კომპიუტერულ კლასებში ხორციელდება ასევე საგანმანათლებლო პროგრამები: „ინფორმაციის ტექნოლოგი“, „ფინანსები და სერვისები“ და „პრაქტიკოს ექთნისა“ და „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამების „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდული. ინფორმაციული წიგნიერების მოდულის კრედიტების რაოდენობის (3 კრედიტი), პსდ-ის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, კომპიუტერული კლასი პროგრამების ფარგლებში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც შესაძლებელს ხდის ერთ ცვლაში ოცმაგი, ხოლო ორში - ორმოცმაგი სამუშაო ადგილების გამოყენებისა. ასევე „ინფორმაციის ტექნოლოგის“, „ფინანსები და სერვისების“ პროგრამის საკონტაქტო საათების გათვალისწინებითა და პსდ-ს პერსონალის მიერ აუდიტორიების დატვირთვის წარმოდგენილი განრიგით, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლასი გამტარუნარიანია.

პსდ-ში მოწყობილია ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით (მაგიდები, სკამები (4 სამუშაო ადგილი), სტელაჟები), წიგნადი ფონდით. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა.

პსდ-ს საგანმანთლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებებთან, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ 150-150 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის ორგანიზება/გატარებას. ხელშეკრულების პირობების თანახმად, პსდ-ს დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის განხორციელების ვადები, რაც ეცნობება მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურებს, ხოლო ისინი თავის მხრივ გამოყოფენ კონკრეტულ საბავშვო ბაგა–ბაღს/ბაღებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაეუფლონ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლებში განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კოლეჯი ვალდებულებას იღებს ასევე, პრაქტიკის ინსტრუქტორების შრომის ანაზღაურების შესახებ.

ვიზიტის დროს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიური კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელთან დეტალურად იქნა განხილული პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობები. ბოლნისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიური კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მატერიალური რესურსითა და აღსაზრდელთა ჯგუფების კატეგორიით სრულად უზრუნველყოფს ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა მიღებას და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ხელშეკრულებები გაფორმებულია 6 წლის ვადით, თუმცა არ მოიცავს კონკრეტული ობიექტების/ლოკაციების ჩამონათვალს, სადაც განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო აქტივობები (იხ. ასევე 2.1.1.(4) პუნქტი).

<u>აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობით, რესურსით და პროფილით უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია:</u>
- *<u>პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებებს თან ერთვოდეს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა.</u>*

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს 24 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 18 პროფესიული, ხოლო 6 ზოგადი მოდულებისთვის. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

   პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილს აქვს გამოცდილება ანალოგიურ ან სხვა მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების. მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, ზოგადი მოდულების განმახორციელებლების შემთხვევაში დატვირთვის სხვა პროგრამების ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკანონმდებლო მოთხოვნებს. საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის რისკს არ ქმნის ასევე აღმზრდელის პროგრამის ფარგლებში სავარაუდო დატვირთვაც.

კოლეჯის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა მიერ, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაციის/დარგობრივი მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი ნებართვის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია პსდ-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა (მუხლი 6) და „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის განხორციელების და შეფასების წესში (მუხლი 8), რომელთა თანახმად „კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მე-5 საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პირი, ან ***<u>უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება“.</u>*** *<u>ამ უკანასკნელ შემთხვევაში და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს პირისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული პოზიციის შეთავაზება, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციით პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე არსებობს რისკი, რომ პირი ვერ ფლობდეს სრულყოფილად პროფესიისთვის საჭირო ყველა ცოდნასა და კომპეტენციას, ან განისაზღვროს უფრო ხანგრძლივი დროით სამუშაო გამოცდილება.</u>*

ექსპერტთა მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებლების ყველა პირადი საქმე. შერჩეულ პერსონალს აქვს საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შინაარსის შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული კვალიფიკაცია.

განმახორციელებელ პირები ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. შემოწმებისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

პროგრამის განმახორციელებელი პირების ფუნქცია-მოავალეობები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 28). აღნიშნული პუნქტით ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტის პუნქტებს შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსხვავებული ვადებია განსაზღვრული სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით (პ. 6.2. და პ. 28.2). სასურველია კორექტირდეს და ერთნაირი მიდგომა ჩამოყალიბდეს სამუშაო გამოცდილების ვადებთან დაკავშირებით.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია კორექტირდეს, პსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტებით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა სამუშაო გამცოდილების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია გაწერილია პსდ-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა (მუხლი 5) და „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის განხორციელების და შეფასების წესში (მუხლი 9), რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს პროგრამის ადაპტირება-მოდიფიცირებაზე, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებში. ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები ჩამოყალიბდეს ერთიანი დოკუმენტის სახით ან ქვეთავის/მუხლის პსდ-ს შესაბამისი შინაარსის რეგულაციაში.

   პროგრამის ხელმძღვანელი არის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიის კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელი. გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობითა და კოლეჯის რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. ***საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. პსდ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არ ჰყოლია სსსმ/შშმ პირი და არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა. თუმცა შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურება, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გაწერილია სასწავლო რესურსების ადაპტირების, დამატებითი მომსახურების მიწოდების, სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულება ახორციელებს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს. ასევე გეგმავს პროგრამების სპექტრისა და საგანმანათლებლო მომსახურების გაფართოებას. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება.

პროგრამის განხორციელების ხარჯები მოიაზრებს: შრომის ანაზღაურებას, პროფესიულ განვითარებას, სასაწავლო და ჰიგიენური საშუალებებისა და კომუნალური მომსახურების ხარჯებს. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 25 პროფესიული სტუდენტი, თუმცა დოკუმენტში არაა განსაზღვრული თანხა რენტაბელობის ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი დაანგარიშებულია მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში. უშუალოდ პროგრამა რამე სპეციფიკურ რესურსებსა და ხარჯებს არ მოითხოვს, შესაბამისად, პროგრამის სპეციფიკისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, *რენტაბელობის განსაზღვრის* და ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვროს რენტაბელობის ფარგლებში ბიუჯეტის ოდენობა, რაც პროგრამის წინასწარი ფინანსური ანალიზის/პროგნოზის სრულ სურათს შექმნის.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

- *<u>სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირება-პროგნოზირებას.</u>*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიური კოორდინაციის დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის შესახებ (რეგისტრაციის ნომრით 230, 16.01. 2023)
3. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის შესახებ (რეგისტრაციის ნომრით 7, 09.01. 2023)
4. ქონების ფლობის დოკუმენტაცია (ინვენტარიზაციისა და შესყიდვის დოკუმენტები)
5. კომუნალური მომსახურების გადახდის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები
6. პსდ-ს ბიბლიოთეკის კატალოგები და წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის წიგნი
7. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება №01/29, 06.07.2022)
8. „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“ (ბრძანება №01/35, 01.07.2022)
9. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები
10. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" დანართები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ
11. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" ბიუჯეტი
12. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

13. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" ხელმძღვანელის შრომითი ხელშეკრულება
14. პერსონალის სამუშაო საათის აღრიცხვის ფურცელი (აღრიცხვის პერიოდი 01.12.2022 - 30. 01. 2023)
15. ინტერნეტ-პროვაიდერთან შპს „ჯენეტი“ გაფორმებული ხელშეკრულება (#000084 14.08.2019)
16. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ პერსონალთან, ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან გასაუბრების ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განვითარების მექანიზმები კოლეჯს აგებული აქვს დემინგის ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესში“, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება-ანალიზი. შემოწმებას ექვემდებარება პროგრამების შინაარსობრივი ასპექტები, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და რესურსების ადეკვატურობა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობა წინასწარ დადგენილი კრიეტრიუმებისა და შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. ამავე დოკუმენტის თანახმად სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგის ხორციელდება შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ.

   შეფასებისას ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ხორციელდება ასევე დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტების, კურდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების) კმაყოფილების კვლევა. განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს და წარადგენს დირექტორთან შემდგომი რეაგირებისთვის.

   ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს განხილული იქნა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგები, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**
   საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“ (მუხლი14.). პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს (პ.14.2).

   პსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულია ცვლილებები. რომლებიც ეხებოდა ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება განხორციელებულია პსდ-ს შიდა პროცედურის დაცვით.

   იხ. ასევე 2.4.1 (2) კრიტერიუმის აღწერა.

   დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის ბრძანება №15 „შპს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შედეგების გამოყენების პროცედურისა და შეფასების ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შესახებ“ (2019.01.07)
2. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“ (ბრძანება №01/35, 01.07.2022)
3. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ გამოკითხვის ანკეტები და ანალიზის შედეგები
4. ფაქტობრივი გარემოება და გასაუბრების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე/83 სასწავლო კვირა (146 კრედიტი), ხოლო არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის 26 სასწავლო თვე/105 სასწავლო კვირა (116 კრედიტი).

პსდ-ს შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. სასწავლო გეგმის შედგენისას დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის/მოდულის სპეციფიკას რომლის დროსაც შესაძლებელია კვირეული დატვირთვა იყოს დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ნაკლები. (შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი'' საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი, პ.6.6.)

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგების თანახმად ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ისგ-ის შემუშავებისა და განხორციელების მოთხოვნები გაწერილია პსდ-ს შიდა რეგულაციებში („საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“ (მუხლი 7.) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (მუხლი 25)), რომელთა თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, ისგ-ს შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ითანხმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რის შემდეგ ამტკიცებს პსდ-ს დირექტორი. ისგ-ის განხორციელებისას მუდმივად ხდება მორიტორინგი შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ასევე ხორციელდება მუდმივი კონსულტაცია დაინტერესებულ მხარეებთან, არგუმენტირებულ საფუძველსა და საჭიროებებიდან გამომდინარე, გეგმაში ხორციელდება ცვლილებები.

პსდ-ს არ აქვს ისგ-ის შემუშავების/განხორციელების პრაქტიკა. ვიზიტის დროს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გასაუბრება განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებასა და შესაბამისი მომსახურების გაწევას. სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროფესიული სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

<u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლებისა და სააღმზრდელო დარგის შესაბამისი თანამედროვე მეთოდების/ტექნოლოგიების გამოყენებას, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. განმახორციელებელი პირები თავად აქვთ ტრენინგები გავლილი ადრეული განათლების სწავლების მეთოდოლოგიებში და იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულია მხოლოდ „ინტერაქციული ლექცია“, „სემინარი“, „პრაქტიკული მეცადინეობა“, სწავლების მიდგომის აღწერა, ძირითადად აგებულია ლექციაზე. განმახორცილებელ პირებთან გასაუბრებით, ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიაზრებენ საკუთარი მოდულის/მოდულების ფარგლებში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაოების შესრულებას, შემთხვევის ანალიზი/სიტუაციური ამოცანების ამოხსნას, პრეზენტაციებს.

დაგეგმილია სასწავლო პროცესში ელ რესურსების გამოყენება. პრაქტიკული კომპონენტისთვის შერჩეულ ობიექტებს ჰყავს აღსაზრდელების ყველა ასაკის ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს სააღმზრდელო პროცესის ყველა სპეციფიკაციის გაცნობა-დაუფლებას.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მიდგომებში, სწავლების მეთოდებში სასურველია აისახოს სწავლების სხვა უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, ტექნოლოგიები.</u>

4. პსდ-ს არ აქვს, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების პრაქტიკა, თუმცა კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულაცია ითვალისწინებს მობილობის (მუხლი 15), სტატუსის შეჩერება/აღდგენის (მუხლები: 10; 13; 14), ფორმალური განათლების აღიარების (მუხლი 18) პროცედურებს. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესს (მუხლი 20). რეგულაცია ითვალისწინებს შშმ/სსსმ პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვისა და სხვადასხვა სერვისებით უზრუნველყოფის მექანიზმებს (მუხლი 24).

პსდ-ს სასწავლო პროცესის რეგულაციით დადგენილია ასევე არაფორმალური განათლების აღიარების წესი (მუხლი 19), რომელიც შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნებთან, თუმცა პსდ-ს არ აქვს აღიარების უფლება მოპოვებული.

ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კოლეჯს აქვს შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების პრაქტიკა, რაც გამოიხატება დისტანციურად სასწავლო პროცესის განხორციელებასა და ინდივიდუალურად, პროფესიულ სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული მეცადინეობების/კონსულტაციების/დადასტურების პროცესის დაგეგმვა.

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, შერჩეული ჰყავს პარტნიორები: მარნეულის მუნიციპალიტეტეის ბაგა-ბაღების გაერთიანება და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება. **პსდ-სა და პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს თანამშრომლობას. თნამშრომლობის შესახებ მზაობა დასტურდება** პარტნირი დაწესებულების წარმომადგენელთან და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულებებს და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსის გამოყოფას, დათქმას, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, პრაქტიკის ვადების ურთიერთშეთანხმებულად განსაზღვრასა და განხორციელების საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა - 150 პროფესიული სტუდენტი.

<u>**პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს,**</u> <u>რაც ასევე დადასტურდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით, რომელიც ამავე დროს არის პსდ-ს პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ ხელმძღვანელი. თუმცა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს კოოპერაციული სწავლების განმახორციელებელი სუბიექტისთვის დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი, რაც არ ყოფილა წარმოდგენილი.</u> <u>*გამომდინარე გარემოებიდან, რომ, პრაქტიკის განმახორციელებელი/კოოპერაციული სწავლების სუბიექტები შერჩეული იყო დადგენილების შესაბამისი კრიტერიუმებით, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, წესის შემუშავების შესახებ, რასაც დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენციაში არ ეთანხმება.*</u>

<u>*დადგენილების თნახმად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება შესაძლებელია რეალურ ან/და იმიტირებულ გარემოში (მუხლი 3, 31.). რეალურ გარემოში, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების გარეთ გადის სწავლების პროცესი, მოიაზრებს მხოლოდ ორ ფორმას - დუალურს და კოოპერაციულს (მუხლი 3. 3.2). ეს უკანასკნელი გულისხმობს დაწესებულებისა და შერჩეული სიბუექტის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში (შერჩეული სუბიექტის*</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბაზაზე). გამონაკლისია საგანმანათლებლო პროგრამებ, სადაც კრედიტების რაოდენობა აღემატება დადგენილ 50%-იან ზღვარს. შესაბამისად, პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელების ფორმა არის კოოპერაციული, პროგრამის/სწავლის შედეგების და სუბიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსის თანახმად.ხელშეკრულების საგანია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება (დარგობრივი მოდლები: „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ (0211719) – მოცულობა კრედიტებში -12; „გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ (0211718) - მოცულობა კრედიტებში - 2). დაწესებულების მიერ მოყვანილი არგუმენტი, დადგენილების პუნქტი 5.5. ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 50%-ზე მეტს. აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა გადაწყვეტილებით, გაცემული რეკომენდაცია მიზანშეწონილია და უცვლელი რჩება.

ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებენ, რომ პსდ-ს და საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორები, უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ურთიერთათანამშრომლობას, რასაც ადასტურებს გაფორმებული ხელშეკრულებები და გასაუბრების შედეგები.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
პსდ-მ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.

6. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, არ მოითხოვს უსაფრთხოების განსაკუთრებულ მოთხოვნებს. პსდ-ს სასწავლო პროცესისა და საქმიანობის უსაფრთხო გარემოში განხორციელების მიზნით, შერჩეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. ამასთან, კოლეჯი მდებარეობს სამედიცინო დაწესებულების/კლინიკის შენობაში, რაც ქმნის პირველადი დახმარების აღმოჩენის გარანტიას, ამავე მიზნით, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ასევე პირველადი დახმარების აფთიაქი, რომელიც კონკრეტულად სასწავლო პროცესის სივრცეშია განთავსებული. გამოყოფილია ასევე პირველადი დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილ სივრცეში (შენობა-ნაგებობის მე-5 სართული) მთელ პერიმეტრზე განთავსებულია პირველადი სახანძრო საშუალებები, კვამლის აღმომჩენი დეტექტორები, საევაკუაციო გეგმები. გეგმები მომზადებულია შპს „გეფფა ჯგუფის“ მიერ, თუმცა არ აქვს სპეციალურ სამსახურთან შეთანხმების გრიფი. ვიზიტის პერიოდისთვის, აღნიშნული ფართზე დაწესებულებას არ ჰქონდა ასევე სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დაწესებულების პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირების განმარტებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებულია მათ მფლობელობაში არსებული მე-2 სართულის ფართი, რომელზეც არსებობს ასევე უსაფრთხოების დასკვნა. მე-5 სართულის ფართის ექსპერტიზის შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდში.

*შესწავლილი დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს უსაფრთხოების სპეციფიკურ მოთხოვნებს და უსაფრთხო გარემოსთვის საკმარისია დაწესებულების ზოგადი უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილება, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში (მე-5 სართული) აღნიშნული გარემოებების და პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტის 5.2.1.(1) და 5.2.1.(3) კომპონენტების გათვალისწინებით, პროგრამისთვის განკუთვნილ სივრცეში არ არის დაცული უსაფრთხოების ზოგადი ნორმები (კომპეტენტური ორგანოს მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა), შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც **„არ შეესაბამება“.*** აღნიშნულიდან გამომდინარე, *მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს უსაფრთხოების სპეციფიკურ მოთხოვნებს და უსაფრთხო გარემოსთვის საკმარისია დაწესებულების ზოგადი უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილება, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში (მე-5 სართული) აღნიშნული გარემოებების და პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტის 5.2.1.(1) და 5.2.1.(3) კომპონენტების გათვალისწინებით, პროგრამისთვის განკუთვნილ სივრცეში არ არის დაცული უსაფრთხოების ზოგადი ნორმები (კომპეტენტური ორგანოს მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა), შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი, თავდაპირველი შეფასებით, შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.*

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა, სასწავლო/სამუშაო სივრცის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეფასების აქტი (სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის (№44 14.03.2023) და მის საფუძველზე შემუშავებული შესაბამისობის გეგმა (შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანება №00002776, 27.03.2023). ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრულია 27.05.2023 წ. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, პსდ-ში ვიზიტის დროს და დასკვნის პროექტში იდენტიფიცირებული ხარვეზი და ***ინდიკატორის შეფასება კლასიფიცირდა, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“.***

შესაბამისობის რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებისა და შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული მითითებების შესაბამისად, უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნა.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება №01/29, 06.07.2022)
2. „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“ (ბრძანება №01/35, 01.07.2022
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დანართებითურთ (მოდულები, სასწავლო გეგმები)
4. ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიური კოორდინაციის დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის შესახებ (რეგისტრაციის ნომრით 230, 16.01. 2023)
5. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის შესახებ (რეგისტრაციის ნომრით 7, 09.01.2023)
6. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის „უსაფრთხოების წესი“
7. პსდ-სა და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები
8. პასუხისმგებელ პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები
9. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი (№44 14.03.2023)
10. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანება №00002776 “პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 (5.1.2. კომპონენტი) სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ (27.03.2023)

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ყველა ფორმის სპეციფიკისა და საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებით შეფასების წესი, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 22[1]). მარეგულირებელ წესშივე აქვს განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, წარდგენისა და ვალიდაციის პროცედურა.

შეფასების სისტემით განსაზღვრულია უარყოფითი შეფასების/დადასტურებისა და არასაპატიოდ/საპატიოდ გაცდენის, განმეორებითი შეფასებაზე გასვლისთვის გარემოებები და წესები. განმეორებით შეფასება შესაძლებელია ორჯერ, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან მოდულის დაწყებამდე, თუ დაუდასტურებელი მოდული წარმოადგენს წინაპირობას. პროცედურით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ინფორმირების ვალდებულება, შეფასების თარიღის, პირობების, შეფასებისა შედეგების შესახებ. პროცედურა განსაზღვრულია ასევე შედეგების გასაჩივრების წესი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებს. აპელაცია განიხილება კოლეგიური წესით.

პსდ-ს განსაზღვრული აქვს ასევე შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა, შინაარსის მოთხოვნები, შემუშავება-ვალიდაციის წესი. (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 21).

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს (მუხლი 22, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). პროცედურა ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსის შერჩევას ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ვერიფიკაციის მიზნით, პსდ-ს დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი. ვერიფიკაცია ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებითა და შერჩევითი პრინციპით. შეფასების სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევისას კოლეჯი მოქმედებს რისკების გათვალისწინებით, როგორიცაა: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხშირი აპელაცია, ერთი ინსტრუმენტით შეფასებული რამდენიმე სწავლის შედეგი, მოდულის ფარგლებში უმეტესობა დაუდასტურებელი შედეგი და სხვა.

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა განხორციელებული ვერიფიკაციის დოკუმენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანება „ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, სადაც გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტი. პსდ-ს მიერ ვერიფიკაცია ხორციელდება ყველა პროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ. წარმოდგენილი იყო პსდ-ს განხორციელებული პროგრამების („ფარმაციის“ 2 მოდული; „საექთნო განათლება“ 2 მოდული)შეფასების ისნტრუმენტების ვერიფიკაციის შესახებ ანგარიშები. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. დაწესებულების პროცედურის თანახმად, ***<u>შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, არამედ შეფასების პროცესის პრინციპების შემოწმების მიზნით ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა.</u>*** (პ. 22.8). ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურობის შეფასების მიზნით სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს შესაფასებელი ნამუშევრების კონკრეტული ზღვარი/წილი.

შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად, პსდ-ის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
<u>ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პსდ-მ განსაზღვროს შესაფასებელი ნამუშევრების კონკრეტული რაოდენობა/წილი.</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესი გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 23). პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მოდულის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში გადასცემს ადმინისტრაციას მტკიცებულებებს (პ. 8.6.5; 23.5.4) მტკიცებულებები აღირიცხება და ინახება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (პ.21.20), ხოლო შეფასების უწყისები - უვადოდ. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.*** პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება №01/29, 06.07.2022)
2. დირექტორის ბრძანება №01/04 „ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“ (20.01.2023)
3. ვერიფიკაციის ჯგუფის წარდგინება (28.03.2022 რეგისტრაციის ნომრით 03/50)
4. პსდ-ის პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

……
……
……
……
……

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანება #00002776 „“პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 (5.1.2. კომპონენტი) სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ (27.03.2023) დანართითურთ

01.04.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: